

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 7

ქ.თბილისი

2018 წლის 22 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2018 წლის 22 მარტს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა, კომისიის წევრის ირაკლი ჩიქავას მიერ, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ირაკლი ჩიქავა.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად. ამის გამო, არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: ვახტანგ სამხარაძე, ლაშა თავართქილაძე, აკაკი კერესელიძე, ლევან ჩიკვაძე, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია და ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის სხდომის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქავა.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, სრკ სადისციპლინო კოდექსის 4.14 პუნქტის საფუძველზე, განიხილა სარაგბო კლუბ „ტაო“-ს პრეზიდენტის ი. გვენეტაძის განცხადება და მოწოდებული ვიდეომასალა.

სადისციპლინო კომისიამ ხელმეორედ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ძალაში დატოვა სრკ სადისციპლინო კომისიის 2018 წლის 14 მარტის ოქმი № 6.

სრკ სადისციპლინო კომისიის სხდომის თავმჯდომარე



/ირაკლი ჩიქავა/